

გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარების პრობლემური
ასპექტები საქართველოს მართლმსაჯულებაში

მაია სიჭინავა

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის
საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ქეთევან ერემაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია სიჭინავა

02.07.2022

აბსტრაქტი

საქართველოში გენდერული იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები დღემდე პათოლოგიზირებულია. მოსახლეობის უდიდეს ნაწილში შეინიშნება ჰომოფობიური და ტრანსფობიური დამოკიდებულებები, შესაბამისად ლგბტ თემის წარმომადგენლები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ექვემდებარებიან დისკრიმინაციულ მოპყრობას. ქვეყანაში არ არსებობს ტრანს-სპეციფიკური ჯანმრთელობის დაცვისა და გენდერული იდენტობის დამოწმების კლინიკური სახელმძღვანელო პრინციპები, შესაბამისად ტრანსგენდერი პირებისთვის არ არის უზრუნველყოფილი ჯანდაცვის სერვისებზე სათანადო ხელმისაწვდომობა. ლგბტ თემის უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და მათთვის უსაფრთხო და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა არ წარმოადგენს სახელმწიფოს პრიორიტეტს. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის არც ერთი ნორმა კონკრეტულად არ განსაზღვრავს ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილების პროცედურას და ამ პირობებში ადმინისტრაციული ორგანოები და საერთო სასამართლოები სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლისთვის წინაპირობად განსაზღვრავენ სქესის შეცვლის ოპერაციის ჩატარებას, ანუ სტერლიზაციას. კვლევის მიზანი გახლდათ გენდერული იდენტობის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის აუცილებლობის დასაბუთება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახლახო დამცველის არაერთგზის მტკიცებისა, რომ საქართველოში გენდერული იდენტობის აღიარებასთან დაკავშირებით არსებული მიდგომები და სტერლიზაციის მოთხოვნა არღვევს ტრანსგენდერი პირების ძირითად უფლებებს და წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან, მდგომარეობა კვლავაც უცვლელია. ეროვნული სასასამართლოები ან საერთოდ არ ასაბუთებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს, რომლითაც უარს ეუბნებიან ტრანსგენდერ პირებს სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის მოთხოვნაზე, ან

აკეთებენ ბუნდოვან და გაურკვეველ, უფლებისშემლახავ განმარტებებს, რაც ხელს უწყობს მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და ლგბტ თემის მიმართ დისკრიმინაციული განწყობების შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები : ტრანს-სპეციფიკური ჯანმრთელობა, გენდერული იდენტობა, გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარება,

Abstract

Sexual orientation and gender identity issues continue to be pathologized in Georgia. The majority of the population exhibits homophobic and transphobic sentiments, therefore members of the LGBT community face discrimination in virtually every aspect of public life. Since the nation lacks clinical guidelines for transgender-specific healthcare and gender identity state does not place a high priority on preserving the legal standing of the LGBT community or fostering a climate of equality and safety for them. Under these circumstances, administrative authorities and general courts define gender reassignment surgery - in other words sterilization, as a prerequisite for changing the gender record. None of the state's laws in force clearly define the procedure for changing the gender record in official documents. The aim of the study was to pinpoint the issues with Georgia's legal recognition of gender identity and explain why those issues must be resolved. The study's findings showed that the situation has not changed despite the repeated claims made by UN independent experts, non-governmental organisations, and the Georgian Ombudsman that the current methods of gender identity recognition in Georgia and the demand for sterilisation violate the fundamental rights of transgender people and run counter to global standards for the protection of human rights. National courts either fail to provide any justification for their judgements, by which they reject transgender people's requests to modify their gender records, or they utilize imprecise, rights-infringing definitions that encourage harmful behaviors and uphold prejudices against the LGBT+ population.

Key words: gender identity, legal acceptance of gender identity, transgender healthcare.